პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ივლისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 138 (10 057) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1989

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები ოთარ ნოზაძე და ვაჟა დანელია დონეცკიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

დონეცკი. თავისუფალი ჭიდაობა. ასპარეზობის ბოლო დღეც შედეგიანი გამოდგა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისათვის, რომლებმაც დასკვნით ეტაპზე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უკვე ვიუწყებოდით გიორგი ხინჩიკაშვილის წარმატების შესახებ, ისიც გაცნობეთ, რომ ქუთაისელმა „მძიმეწონოსანმა“ გიორგი ჯანელიძემ (ასკ, მწვრთნელები ვლადიმერ იაშვილი და ვალიკო გიგიაძე) ყველაზე ადრე გაინაღდა ბრინჯაოს მედალი.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ ფინალურ ორთაბრძოლას მძიმე წონაში. აქ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ახალგაზრდებს შორის მსოფლიო თასის მფლობელი, საქართველოს გუნდის წევრი მერაბ ვალიევი (ასკ, „შრომითი რეზერვები“) და ჭაბუკთა შორის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ანდრეი შუმილინი (რსფსრ). წლეულს ეს მათი მეორე ფინალური შეხვედრა იყო. პირველად ამ რამდენიმე თვის წინათ საკავშირო პირველობაზე, ქულებით შუმილინმა გაიმარჯვა. ამჯერად ორივე ფალავანი ზომაზე მეტად ფრთხილობდა, არც კი ცდილან მომგებიანი ილეთის ჩატარებას, რის გამოც მსაჯებმა ისინი სამ-სამჯერ გააფრთხილეს და შეჯიბრებიდან მოხსნეს — მძიმე წონაში ოქროს მედალი გაუთამაშებელი დარჩა. ვალიევსა (მწვრთნელები შოთა კოტორაშვილი და ივანე ნიკოლაძე) და შუმილინს ვერცხლის მედლები გადაეცათ.

საქართველოს გუნდის დებიუტანტ ქუთაისელ აკაკი ჩხაიძისთვის (90 კგ) დღემდე მოპოვებულ წარმატებათა შორის ყველაზე უმაღლესი რესპუბლიკის ჩემპიონობა იყო. ახალგაზრდულ თამაშებზე მან საკავშირო შეჯიბრებების მედლების „ანგარიშიც“ გახსნა. ქვეჯგუფში ჩხაიძემ (ასკ, მწვრთნელები მურად დოხტურაშვილი, მალხაზ მერმანიშვილი) მეორე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლისთვის უკრაინის გუნდის წევრს ოჰანეს ზაქარიანს შეხვდა. დაძაბული ორთაბრძოლა ქართველი ფალავნის გამარჯვებით დამთავრდა — 8:6.

საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი თბილისელმა გოჩა მაკოევმა (62 კგ, ძსკ, „შრომითი რეზერვები“) შესძინა. იგი, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, გამოცდილი მოჭიდავეა, წლეულს თბილისისა და საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა. მაისში „დიდების“ ევროპის ჩემპიონატში მე-4 იყო. ამ თამაშებზე კი მაკოევი (მწვრთნელები ივანე ნიკოლაძე და ალექსანდრე ავსაჯანაშვილი) მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ქვეჯგუფში, დანარჩენი შეხვედრები კი მოიგო, მათ შორის მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში უზბეკი რამიდოვი დაამარცხა და, როგორც ვთქვით, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, საქართველოს ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ივანე ნიკოლაძე, მწვრთნელები, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები თამაზ ბენდიანიშვილი, ზაურ მჭედლიშვილი, აგრეთვე მურად ლომინაძე, ალექსანდრე ავსაჯანიშვილი, მურთაზ ქეიშვილი) 196 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე 225 ქულით უკრაინის ნაკრები გავიდა, მეორეზე რსფსრ-ის კოლექტივი — 223 ქულა.

ალსანიშნავია, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს შორის I ადგილი დაიკავა საქართველოს „შრომითი რეზერვების“ ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ვაჟა კუძიევი).

საკავშირო თამაშების დამთავრების შემდეგ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს ჩვენი მოჭიდავეები: გოჩა მაკოევი, გიორგი ხინჩიკაშვილი, აკაკი ჩხაიძე, გ[illegible] ივანაშვილი, გელა უბილავა და მერაბ ვალიევი. ისინი იუნიორთა მსოფლიო პირველობისთვის მოემზადებიან (მონღოლეთი, ოქტომბერი).

— დონეცკში მოპოვებული შედეგებით კმაყოფილი ვართ, — გვითხრა საქართველოს სპორტკომის სახელმწიფო მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში ვაჟა [illegible]რლიშვილმა, — თუმცა შეიძლებოდა წარმატებები [illegible] მეტი გვქონოდა, მაგრამ ახალგაზრდებს შორის წლევანდელი საკავშირო პირველობის გამარჯვებული გელა უბილავა (100 კგ) და ჭაბუკთა შორის შარშანდელი ევროპის ჩემპიონი ზაზა ზოზიაშვილი (57 კგ) ამჟამად თურქეთში იმყოფებიან ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე და აქ, საკავშირო თამაშებში, მონაწილეობა ვერ მიიღეს.

მხატვრული ტანვარჯიშის ჯერიც დადგა — დღეიდან ახალგაზრდულ თამაშებში ჩაებმებიან ყველაზე ნატიფი და ნაზი სახეობის წარმომადგენლები. სხვებთან ერთად იასპარეზებს საქართველოს ნაკრების გუნდიც, რომლის წევრთა ვარჯიშიც საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ამ ცოტა ხნის წინათ აღბეჭდა ფირზე.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მთავრობის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ის სპორტსმენები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სეულის ოლიმპიურ თამაშებში, აგრეთვე, მათი მწვრთნელები და სპორტის მუშაკები. დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომელთა გვარები 5 ივლისს გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. ჯილდოები ამ დღეებში გადასცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სურათზე: დაჯილდოებულთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — გიორგი თენაძე, მაია აზარაშვილი, გელა კეტაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ აფციაური, მალხაზ გაბუნია, გურამ ხალარაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გუნდურ ჩათვლაში

თამაშების საერთო გუნდურ ჩათვლაში საინტერესო და დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს ლენინგრადისა და საქართველოს სპორტულ დელეგაციებს შორის. ნევისპირელი სპორტსმენები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების რაოდენობით მეხუთე ადგილზე იმყოფებიან. ამავე ადგილზე გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებდნენ საქართველოსა და ყაზახეთის წარმომადგენლებიც, მაგრამ ყაზახეთის დელეგაციამ ვერ გაუძლო დაძაბულობას და ფაქტიურად მეშვიდე ადგილზე დამკვიდრდა, თუმცა მას აქაც ავიწროებენ კონკურენტები.

გუშინ ვიუწყებოდით, რომ ლენინგრადს 53 ჯილდო ჰქონდა მიღებული. ახლა სხვაობა მასსა და საქართველოს დელეგაციას შორის კიდევ უფრო შემცირდა (უმთავრესად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ხარჯზე) და ამჯერად მხოლოდ ორ ერთეულს შეადგენს.

	ო.	ვ.	ბ.	სულ
5. ლენინგრადი	14	18	21	53
6. საქართველო	17	15	19	51

როგორც ხედავთ, ოქროს მედლების რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა წინაა სამი ერთეულით. სამაგიეროდ მეტოქეებს ჩამოვრჩებით ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოების მარაგით და ეს სხვაობა დღესათვის ორ ერთეულს შეადგენს.

ტელეტაიპი — მკითხველი

რომი. იტალიის რამდენიმე პროფესიული კლუბი ეწევა მოლაპარაკებას სსრ კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს წყალბურთელთან გიორგი მშვენიერაძესთან. იუგოსლაველებს კი განზრახული აქვთ მიხეილ ივანოვის „გადაბირება“.

მადრიდი. ცნობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ელვირა საადი ამჟამად ესპანეთის დედაქალაქში იმყოფება, როგორც ამ ქვეყნის ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. საადი ესპანელ ტანმოვარჯიშეებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოამზადებს.

ბელგრადი. ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე გაუმჯობესდა მსოფლიოს 45 რეკორდი. მათგან ბევრი დამყარებულია იმ სახეობებში, რომლებიც წლეულს შემოიღეს. მაგრამ ოლიმპიურ დისციპლინებში გაუმჯობესებული ცამეტი რეკორდი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კონტინენტის ჩემპიონატს მონაწილენი მომზადებულნი შეხვდნენ.

ბუდაპეშტი. წყალქვეშა ცურვაში იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის 3 ოქროს მედალი მოიპოვა ოქსანა ქლუგინამ. მან გამარჯვებები მოიპოვა 200,400 და 800 მეტრებზე ცურვაში.

ჩინელმა სპორტსმენმა გოგონამ ჩენ ჩაუმ გაიმარჯვა სხვა დისტანციებზე ცურვაში.

საბჭოთა მოცურავე ვაჟებმა, აგრეთვე, 3 ოქროს მედალი მოიპოვეს 200,400 და 800 მეტრებზე ცურვაში.

ქართველმა ძიუდოისტებმა გიორგი თენაძემ და ზაზა დაბრუნდაშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს სოფიაში გამართულ არმიელთა სპარტაკიადაზე. როგორც გადაწყდა, მომავალი VIII სპარტაკიადა 1993 წელს ჩატარდება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სურათებზე (მარცხნიდან): გიორგი თენაძე, ზაზა დაბრუნდაშვილი

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — მევლუდ ჯანაშვილს (ხაშური, „შრომითი რეზერვები“), მამუკა ოქროპირიძეს (ქობულეთი, პროფკავშირები), სპარტაკ კარიბოვს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), გოჩა ჩორგოლიანს (ამბროლაური, პროფკავშირები), ელმან ნაგიევს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), გელა ხუხუას (თბილისი, პროფკავშირები), გელა ელოშვილს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), გია ჩხეტიას (ქუთაისი, პროფკავშირები), გოჩა სალუქვაძეს (ქობულეთი, პროფკავშირები), სერგო სანაძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), ბადრი სამხარაძეს (რუსთავი, „დინამო“).

სახ. საჯ. [illegible]

მოლოდინსაც ხომ აქვს დასასრული...

ტერმინი „სამთო სპორტი" არც ერთ სპორტულ კლასიფიკაციაში არ არის შეტანილი. შეხვდებით მხოლოდ ცალკეულ სახეობებს: სამთოსათხილამუროს, სამთო ტურიზმს, ალპინიზმს, მეკლდეურობას. ყველა მათგანის განვითარება, ცხადია, მთებთან, განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებთან არის დაკავშირებული.

ევროპის და ამერიკის მთიან ქვეყნებში, ალპების და კორდილიერების ტერიტორიებზე მდებარე სახელმწიფოებში სამთო-სათხილამურო სპორტი და ალპინიზმი ყველაზე პოპულარული, ყველასათვის მისაწვდომი და, ამავე დროს, არისტოკრატიული სპორტის სახეობებია. მსოფლიოს საუკეთესო სამთო მოთხილამურეები, როგორც წესი, კარგი მთამსვლელებიც არიან და პირიქით. ცნობილ მთამსვლელებს შესანიშნავ სლალომისტებადაც იცნობენ. ამჟამად მეკლდეურობის ბუმი შეიმჩნევა. უკვე ევროპის პირველობები ტარდება, წელს მსოფლიოს პირველობაც გაიმართება, გადაწყვეტილია მეკლდეურობა შეტანილ იქნას მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. თუ აქამდე საბჭოთა მეკლდეურებს ტოლს ვერ უდებდნენ ავსტრიელები, ფრანგები, იტალიელები, შვეიცარიელები და სხვანი, ბოლო წლებში ევროპაში ეს სახეობა იმდენად განვითარდა, რომ ჩვენს სპორტსმენებს ძალზე გაუჭირდებათ კონკურენციის გაწევა. მთასთან დაკავშირებული ყველა სახეობა უცხოეთში აქ ერთი გზით ვითარდება და ისინი ურთიერთკავშირის გარეშე არ არსებობენ. სსრ კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში, მთის სპორტის სახეობათა ურთიერთდაკავშირება რატომღაც ძნელად მიმდინარეობს. ქართველი სამთო-მოთხილამურეები იშვიათად მეცადინეობენ მთამსვლელობაში და პირიქით. ურთიერთკავშირი კი ნამდვილად სასურველია, რადგან მთამსვლელობა ძლიერ ავითარებს იმ თვისებებს, რაც აუცილებელია სამთო მოთხილამურისათვის, მეკლდეურისათვის, სამთო ტურისტისათვის. ამასთან ყველა ამ სახეობას ერთნაირი სპორტული ბაზა სჭირდება.

ადგილები, რომელთა ათვისებაზე ამ წერილში გვაქვს ლაპარაკი, ყველა სახეობას ერთნაირად გამოადგება, ერთი კეთილმოწყობილი ბაზა მოემსახურება ოთხივე სახეობას. თითოეული სახეობის სპეციფიკა მეორეს მხოლოდ თუ შეავსებს, ვინაიდან დღეს საქართველოში უკიდურესად ცუდი მდგომარეობაა როგორც მთამსვლელობაში, ასევე სამთო-სათხილამურო სპორტში. ოდნავ უკეთესი სურათია მეკლდეურობაში.

სახელგანთქმულმა მთამსვლელმა — „კლდის ვეფხვმა" მიხეილ ხერგიანმა და ამ სტრიქონების ავტორმა მესტიის მახლობლად მდებარე ჰალადის მყინვარი, რომელიც შეუდარებელია ზაფხულში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის, ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ შევთავაზეთ სამთო-სათხილამურო სპორტის მესვეურებს (აღმოჩენით კი თითქმის ოთხი ათეული წლის წინ აღმოვაჩინეთ).

იმავე 1968 წელს კომკავშირის რაიკომის მხარდაჭერით ჩატარდა მესტიელ სპორტსმენთა შეჯიბრება. შეჯიბრება კინოფირზე გადავიღეთ — საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის დახმარებით 15-წუთიანი გადაცემა მოვამზადეთ. ეს გადაცემა რამდენჯერმე გაიმეორეს საქართველოს ტელევიზიით. იმ ხანად საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა ლატვიის ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქტორმა ფირი გამოგვართვა. როგორც შემდგომ გავიგეთ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში არაერთხელ გაუშვიათ ეს გადაცემა ეკრანზე, თანაც ლირიკული კომენტარი დაურთავთ: ამგვარი ზღაპარი შეიძლება ცხადად ნახოთ მხოლოდ საქართველოში — სვანეთის მთებშიო.

შეჯიბრება და ამგვარი შეუდარებელი ადგილის აღმოჩენა „ლელომაც" გააშუქა. ოფიციალური წერილებიც დაიწერა სადირექტივო ორგანოებსა და სპორტსაზოგადოებებში ბაზების აშენებისა და ამ ადგილების ათვისების თაობაზე. შემდგომში შეჯიბრებებიც ბევრჯერ ჩატარდა ქორულდის მთაზე და მყინვარის ახლოს მდებარე ადგილებში. მაგრამ ოცნება, რომ იტყვიან, ოცნებად დარჩა. საქმისათვის სერიოზული, მამულიშვილური თვალით, სამწუხაროდ, არავის შეუხედავს. შემდგომში ჩვენი და ზოგიერთი მესტიელი სპეციალისტის თხოვნით რამდენჯერმე საკავშირო სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ავიყვანეთ სვანეთში. მოგვიანებით აქ რამდენიმე საკავშირო შეკრებაც ჩატარდა სათხილამურო რბოლაში. ისეთი მაღალტიტულოვანი სპორტსმენები, როგორიც არიან ვლადიმერ ვედენინი, რაისა სმეტანინა და სხვები აღტაცებულნი დარჩნენ და შეგვპირდნენ, რომ საკავშირო ორგანოებში აუცილებლად დააყენებდნენ საკითხს.

სვანეთში ჩამოვიდა საკავშირო სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი, ცნობილი სპეციალისტი ბენედიქტ კამენსკიც. როდესაც ეს ადგილები ნახა, აღტაცებული დარჩა.

სხვათა შორის, იგივე ბ. კამენსკიმ სინანულით დაამატა — „ყველაფერი თქვენი სპეციალისტების ბრალია, ისინი სვანეთს ყოველთვის მიუღწეველ სიმაღლედ გვიხატავდნენ, სადაც შეიძლება ჩახვიდე, მაგრამ უკან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეო". კამენსკი „ცოცხალი დაბრუნდა". იმავე სეზონში მისივე რეკომენდაციით სვანეთში საგანგებო დელეგაცია ჩამოვიდა საკავშირო ოლიმპიური ბაზების უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ აბაშინის მეთაურობით. აღტაცება ვერც მათ დამალეს, ბაზების ასაშენებლად ტერიტორიის გამოყოფა ითხოვეს. რაიონის ხელმძღვანელობამ მართლაც საუკეთესო ადგილები შესთავაზა. როცა ოფიციალური „მიწერ-მოწერა" დაიწყო, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საქმე ადგილზე გაყინა. სამწუხაროდ, ყინული დღესაც „მყარია"...

იმედის ნაპერწკალი კიდევ დაინთო. საქართველოს ბაგირგზების სამმართველოს კოლექტივმა პირველი რიგის საბაგირო გზაც დააპროექტა, მაგრამ ახლა უკვე საშენებელი თანხები აღარ ჩანს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილებაც უმოქმედო ფარატინა ქაღალდად დარჩა.

რამდენიმე დღის წინ, ჩვენს სპეციალისტებთან ერთად, რომლებიც საზაფხულო საწვრთნო შეკრებისათვის ადგილის შესარჩევად ამოვიდნენ მესტიაში, სამთო-სათხილამურო სპორტში საკავშირო სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელიც ჩამოვიდა. როგორც მრავალმა წინამორბედმა, მანაც მოიწონა იქაურობა — „უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებსო", — თქვა. შეგვპირდა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა კამჩატკის პეტროპავლოვსკის სათხილამურო ბაზის ასათვისებლად გათვალისწინებული ყველა სახსრები სვანეთში გადმოიტანოს.

ეს შეიძლება მოხერხდეს, მაგრამ საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის და სვანეთის უნიკალური ადგილების ასათვისებლად იქნებ სხვა გზებიც არსებობდეს? საჭიროა დაკვირვება, დაფიქრება, ძიება, საქმეში ღრმა ჩახედვა, ყველა შესაძლებლობის შემოწმება. ჯერ ჩვენთან წამოწყებული ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილების შესრულება მოვითხოვოთ, სსრ კავშირში ერთად-ერთ „სპეცტრანსის" სპეციალიზებულ სამმართველოს სხვა საქმე არაფერი აქვს, თუ არა საბაგირო გზების გაყვანა, სვანეთში ორი საბაგირო გზა უკვე გაკეთდა, ორივე მთლიანად დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. საჭიროა მხოლოდ მათი დროული გადაცემა საექსპლოატაციოდ. უნიკალური სათხილამურო ადგილებისათვის იქნებ საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოიჩინოს ინიციატივა. იქნებ ამ ყურადღებას საქართველოს მოთხილამურეთა ახალი აღმავლობა მოჰყვეს.

პირიბე გვარლიანი,
„ლელოს" კორ.



ჰალადის მყინვარის მიდამოებში.

ავტორის ფოტო.

ზაფხული-89

პირველად ბათუმის კულტურისა და დასვენების პარკში №1 საქალაქო პიონერთა ბანაკი ამ 40 წლის წინათ გაიხსნა. იმისათვის, რომ ბავშვებმა შინაარსიანად დაისვენონ, დღეს აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი. მრავალწლიანი უზარმაზარი ხეების ჩრდილს კარგად ერწყმის ბუნებრივი ტბა. ცხადია, პიონერთა ყოველდღიურ განრიგში დიდი ადგილი უკავია ფიზიკურ კულტურას.

— ბანაკში ყოველ ნაკადში 160 მოსწავლე ისვენებს, რომელთაც 9 აღმზრდელი ემსახურება, — გვითხრა დირექტორმა გურამ სიხარულიძემ, — ბავშვები ჩაბმულნი არიან ჭადრაკის, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ მეზღვაურთა, ხატვის, ფოტო სამოყვარულო და სხვა წრეებში. გარდა ამისა, ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს, ვიყავით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში, გელათში, გვინდა ბავშვებმა მშობლიური მხარე რაც შეიძლება უკეთ გაიცნონ.

სურათზე: ერთი დღე ბათუმის პიონერთა №1 საქალაქო ბანაკში.

ამიერიდან—სტუდენტთა რესპუბლიკური

შეჯიბრება, რომელიც პირველად ტარდება, ცხადია, თავისთავად არის მნიშვნელოვანი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვიტყოდით, საინტერესოც, რადგან საქმე ეხება ჩვენში ისეთ პოპულარულ სპორტის სახეობას, როგორიცაა ძიუდო. კი მაგრამ, რა შეჯიბრებაა ისეთი, ჯერ რომ არ ჩატარებულა საქართველოში სპორტის ამ სახეობაში? თურმე არის, ნუ გაგიკვირდებათ — ესაა პირველი რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. გახსოვთ, შარშან თბილისმა ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. რესპუბლიკის სტუდენტთა პირველობას კი, როგორც ხედავთ, ახლა ჩაეყარა საფუძველი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, სპი-ის (ორი გუნდი), ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა და გოგონათა გუნდები, აგრეთვე გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფალავნები.

გუნდური გამარჯვება იზეიმეს მასპინძლებმა (35 ქულა), 33 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, ხოლო მესამეზე (31,5 ქულით) — სპი-ის ფალავნები.

საინტერესო აღმოჩნდა გოგონათა შერკინებაც. აქ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელი და ქუთაისელი ძიუდოისტები.

პირად ჩათვლაში ვაჟებში ჩემპიონები გახდნენ: ჯ. მასურაშვილი (გორი), ბ. მუხიაშვილი, ს. ლიპარტელიანი, დ. ქვაჭრელიშვილი (სამივე — სპი), რ. გოგიაშვილი, ბ. ბექაური (ფიზ. ინსტ.) და ბ. თოდუა.

დებულების თანახმად, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიუღებლად გორის გუნდს პარალელური ჩათვლები მისცეს ცნობილმა მოჭიდავეებმა ე. გოგიჩაშვილმა, კ. კურტანიძემ და მ. ხუმარაძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტს — ე. პარუნაშვილმა, სპი-ის გუნდს — დ. ფიცხელაურმა.

გოგონათა შორის წარმატება წილად ხვდათ მ. რობაქიძეს, ტ. [illegible], მ. შენგელიას, ლ. [illegible] (ყველა — სპი) და ქუთაისელ ნ. მურადაშვილს.

ზურაბ ხუბულური,
ილია თევდორაშვილი.

გორი.

მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: ძვირფასო რედაქცია, როგორც ცნობილია, ლიტველები საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში გამოდიან საკუთარი ეროვნული დროშით. ჩვენ ვინ გვიშლის ხელს საქართველოს პირველობებში ჩვენი სამშობლოს სტადიონებზე გამოვიყენოთ ეროვნული სამფეროვანი დროშა?

გ. მელქაძე, ვ. ბუხიკაშვილი, ი. ლემონჯავა, ა. ელენტი, ლ. იაშვილი და სხვ.

თბილისი

პასუხი: ლიტველებმა თავიანთი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აღიარეს ეროვნული დროშა და ამ გადაწყვეტილების თაობაზე აცნობეს საკავშირო ორგანოებს, მათ შორის სსრ კავშირის სპორტსახკომს, რომელმაც თავის მხრივ აუწყა როგორც ქვეყნის, ისე უცხოეთის სპორტულ ორგანიზაციებს, რომ ლიტველებს ეძლევათ უფლება ასპარეზობ ეროვნული დროშის ქვეშ.

საქართველოს პირველობებზე და სხვა შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული სამფეროვანი დროშით ასპარეზობისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. ეს საკითხიც, ცხადია, იურიდიულ საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა გადაიჭრას.

ინფორმაცია

ტოკიო. აქ [illegible] ტრიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში (1,5 კილომეტრი ცურვა, პლუს 40-კმ ველოსიპედით, პლუს 10 კმ. რბენა) გამარჯვება წილად ხვდათ ამერიკელებს — სტივ ვიზენჰაუერს (ვაჟებში) და შენონ დილანეის (ქალებში). მათი დრო შესაბამისად 1 საათი, 58 წუთი, 13 წამი და 2:20.25.

სსრ კავშირის თასზე

17 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1989-90 წლების საფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპის საპასუხო შეხვედრები.

„დინამო“ (თბილისი) — „ნოვბახორი“ (ნამანგანი) 2:0 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 17 ივლისი.

„დინამო“: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (არველაძე, 46), ხვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (არჩიანი, 64), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (ფანცულაია, 46).

„ნოვბახორი“: სტრახოვი, ივანოვი, ბელოვი, ალიბაევი, პოპოვი, ტელიაკოვი, ბაირამოვი, კუდინოვი, მირგალიმოვი, გრიდიუშკო, შუშლიაკოვი.

მსაჯი ბ. იარიგინი (ვოლგოგრადი).

გააფრთხილეს შუშლიაკოვი.

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 49-ე გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ საკმაოდ იოლი მეტოქე არგუნა წილისყრამ. ნამანგანის „ნოვბახორი“ II ლიგის VII ზონაში გამოდის და ცხრილის შუაგულში იმყოფება, თანაც ამ გუნდს ორივე შეხვედრის ჩატარება „დინამოს“ მინდორზე მოუწია. ცხადია, მას გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც მან პირველი მატჩი წააგო დიდი ანგარიშით — 0:5.

ამ „განაღდებულ საქმეზე“ დინამოელებმა საკუთარ თავს უფლება მისცეს ადრე ტრავმირებული და გამოჯანმრთელების გზაზე მდგარი ფეხბურთელები გამოეყვანა და დამშვიდებულ ვითარებაში მოესინჯა მათი ძალები. ამიტომაც თასის ორივე ოფიციალური შეხვედრა თბილისელ ფეხბურთელთათვის თავისებურ საწვრთნელ ციკლად იქცა, რომლის დროსაც გუნდს საერთო შედეგი ისე არ აღარდებდა, როგორც ახალი შემადგენლობის სათამაშო პრაქტიკის მიღება.

პირველ ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა, მეტოქეები ნელ ტემპში, აუჩქარებლად თამაშობდნენ. შედარებით გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ, დინამოელთა საერთო უპირატესობა დამთავრდა ფანცულაიასი (65 წუთი) და კაჭარავას (81 წუთი) მიერ გატანილი ორი უპასუხო გოლით. დინამოელებს ახლა მერვედფინალი ელით.

• • •

ამ დღეს ლანჩხუთის „გურია“ მეტოქის მინდორზე შეხვდა დონეცკის „შახტიორს“. პირველი მატჩი, როგორც გახსოვთ, ლანჩხუთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

დონეცკელები განმეორებით შეხვედრას უფრო მომზადებული შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2. თამაშის მე-6 წუთზე იაშჩენკომ აიღო სტუმართა კარი. ამის შემდეგ „გურიამ“ გამოასწორა თამაში, მე-19 წუთზე მაღალ ბურთს თავით შესწვდა გურული, გადააწოდა უგრელიძეს და ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 1:1, მაგრამ შემდგომში მინდორზე მასპინძლები დომინირებდნენ და რომ მეკარე ქანთარია არა, ანგარიშში სხვაობა მეტიც იქნებოდა. 27-ე წუთზე გრაჩოვმა ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში, ხოლო ტაიმის მიწურულს ლეონოვმა მესამე გოლიც გაიტანა.

თბილისის „დინამოსა“ და „ნოვბახორის“ მეორე მატჩის შეხვედრის ეპიზოდი. შეტევაზეა დინამოელი ზაზა რევიშვილი.

მეორე ნახევარიც „შახტიორის“ უპირატესობით წარიმართა. 64-ე წუთზე პეტროვმა კიდევ ერთხელ აიღო „გურიის“ კარი და ლანჩხუთელებმა ისღა მოახერხეს, რომ 87-ე წუთზე (კორძალიძე) ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 2:4.

გაიმართა მეთექვსმეტედფინალის სხვა შეხვედრებიც, გთავაზობთ მათ შედეგებს: „დინამო“ (მინსკი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 1:0 (პირველი მატჩიც 1:0), „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:0 (1:2), „პამირი“ (დუშანბე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:3 (2:3), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:2 (3:1), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ვორსკლა“ (პოლტავა) 5:1 (0:1), „დინამო“ (კიევი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 3:1 (1:0), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 5:0 (3:1), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — ცსკა 2:2 (1:1).

ამრიგად, ორი შეხვედრის შედეგად მერვედფინალში გავიდნენ შემდეგი გუნდები: „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი), „როტორი“ (ვოლგოგრადი), ცსკა, „დინამო“ (მინსკი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „დინამო“ (კიევი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (დონეცკი).

გუშინ გაიმართა მეთექვსმეტედფინალის დანარჩენი შეხვედრები.

იტალიური „ეპოპეა“ დასრულდა

რომი, 17 ივლისი. მეტისმეტად დიდი უარის გამო ჩაიფუშა ასეთი გაჭირვებით მოპოვებული ცდა იტალიაში „საბჭოთა ფეხბურთის“ მიწვევისა. ასე მიაჩნია იტალიურ გაზეთ „კორიერე დელო სპორტს“, რომელიც ხაზს უსვამს, რომ „ალექსანდრე ზავაროვის იტალიური „ეპოპეა“ დასრულდა“. ამ ფეხბურთელის განთავისუფლების გადაწყვეტილება „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ მიიღო შუა ივნისში გამართული ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. საამისო საბაბად გაზეთს მიაჩნია კიევის „დინამოს“ უარი იმის თაობაზე, რომ ტურინის გუნდში ეთამაშათ სხვა ცნობილ საბჭოთა ფეხბურთელებსაც, კერძოდ, ო. პროტასოვს და ა. მიხაილიჩენკოს.

ასეთ პირობებში „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ზავაროვმა გააწბილა მათი იმედები, ამიტომაც გადაწყვიტა „დაეკეტა აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზის კარი“.

შემდგომში „კორიერე დელა სპორტი“ აღნიშნავს, რომ დამოკიდებულება ა. ზავაროვსა და „იუვენტუსის“ მწვრთნელს დ. ძოფს შორის მუდამ რთული იყო. როცა ფეხბურთელს ურჩიეს ძალების აღსადგენად გარკვეული ხნით დაესვენა, იგი კვლავ განაგრძობდა ინტენსიურ წვრთნას და აცხადებდა, რომ სხვებზე უკეთ იცის თავისი ფიზიკური შესაძლებლობანი.

გუნდის ფეხბურთელებს იგი „არ უყვარდათ“ და გასახდელშიც ირონიულად ამბობდნენ, რომ „იუვენტუსს“ სისტემატურად უხდება ათი ფეხბურთელის შემადგენლობით თამაში. იტალიის თასის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩში „ნაპოლის“ წინააღმდეგ დ. ძოფმა ა. ზავაროვი სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მიუხედავად ასეთი „წინასწარი გაფრთხილებისა“, ფეხბურთელმა არაფერი იღონა საიმისოდ, რომ თავიდან აეცილებინა კლუბიდან გარიცხვა.

საერთოდ, ტურინის „იუვენტუსისთვის“ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელის შეძენა „მარცხიან კომერციად“ იქცა. ა. ზავაროვმა საკუთარი პიროვნება ვერ გამოავლინა ვერც საფეხბურთო მინდვრის გარეთ, არ ცდილა ერთი სიტყვა მაინც ესწავლა იტალიურად, ცუდ დამოკიდებულებაში იყო ყველასთან — ჟურნალისტებიდან დაწყებული „იუვენტუსის“ გულშემატკივრებამდე, რომლებსაც აშკარად არ უყვარდათ თავიანთი გუნდის ეს მეათე ნომერი.

— ათი საშინელი, მარცხიანი თვე გადავიტანე — განუცხადა კორესპონდენტებს ა. ზავაროვმა. — ადამიანებს ჩემზე მცდარი შთაბეჭდილება შეექმნათ, დრო მის გამოსასწორებლად კი ერთობ ცოტა მქონდა. ახლოვდება 1990 წელი და იმის გარდა იტალიელებს რომ დავუმტკიცო ჩემი მაღალი ოსტატობა, ახლა ვ. ლობანოვსკიც უნდა დავარწმუნო, რომ უწინდებურად ვიმსახურებ ადგილს ეროვნულ ნაკრებში.

„კორიერე დელო სპორტი“ იტყობინება, რომ საბჭოთა ფეხბურთელის თავიანთ რიგებში მიწვევის სურვილი გამოთქვა იტალიის „ა“ კლასში მოთამაშე კიდევ ხუთმა კლუბმა, მაგრამ ყველა ეს წინადადება უარყოფილია. ამავე დროს ა. ზავაროვმა „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობას აღუთქვა, რომ 10 დღის შემდეგ შეატყობინებს თავის საბოლოო გადაწყვეტილებას.

ა. ზავაროვის „იუვენტუსთან“ კონფლიქტის ამსახველი ეს ცნობა მოგვიანებით მოვიდა. ეტყობა, საქმე უკვე საბოლოოდ მოთავებულია: ა. ზავაროვმა 17 ივლისს მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის თასის ოფიციალურ მატჩში კიევის „დინამოსა“ და ალმა-ათის „კაირატს“ შორის.

ესპანეთიდან შინ დაბრუნდა, აგრეთვე, საბჭოთა ფეხბურთელი ვასილი რაცი, რომელიც ბარსელონის „ესპანიოლში“ თამაშობდა. ვ. რაცმა „ესპანიოლში“ სულ 3 თვე გაატარა, ესპანეთის ჩემპიონატი დამთავრდა, „ესპანიოლი“ გამოითიშა თავისი ქვეყნის უმაღლესი ლიგის შემადგენლობიდან, ამიტომაც ვ. რაცის კონტრაქტი კლუბთან აღარ განახლებულა. იგი დაუბრუნდა კიევის „დინამოს“ შემადგენლობას.

იტალია-90

● **რომში** კამილუჩას ქუჩაზე მოთავსებულია საორგანიზაციო კომიტეტის რეზიდენცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლუკა დი მონტეცემოლო. ამ ორგანიზაციაში დღის ნებისმიერ დროს გაიგონებთ ტელეფონის ზარის წკრიალს. საორგანიზაციო კომიტეტში, უმთავრესად, ჟურნალისტები რეკავენ, რომლებსაც აინტერესებთ როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი საქმიანობა.

● **ჩემპიონატის** საორგანიზაციო კომიტეტის მონაცემებით შეუფერხებლად წარმოებს ბილეთებით ვაჭრობა. მშენებლები და რესტავრატორები მტკიცედ იცავენ გრაფიკს. ბოლონიასა და ვერონაში გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, ფაქტიურად, უკვე შესრულდა.

● **ფინალური** მატჩი, როგორც ცნობილია, რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. აქ ჯერ მიმდინარეობს დასავლეთ ტრიბუნის განახლების სამუშაოები.

გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“

ჩვენ ვინ გვიშლის?

გავეცანი ა. ქლენტის წერილს „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“ და ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვა პუბლიკაციებსაც. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. მე ჩემს აზრს გაგიზიარებთ.

მართლნი არიან ზოგიერთები, რომლებიც არ ეთანხმებიან აზრს, თითქოს სსრ კავშირის ჩემპიონატი ფაქტიურად „რუსეთის ჩემპიონატი“ იყოს. განა რუსეთის ბრალია, რომ მას 6 გუნდი ჰყავს უმაღლეს ლიგაში, ჩვენ კი მხოლოდ ერთი? გვყავდეს, ბატონო, ჩვენც 3-4 გუნდი, ვინ გვიშლის. ოღონდ ამას მიღწევა უნდა. ჩვენც გვყავდა ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ვერ მოიკიდეს ფეხი. ნუთუ ესეც არაობიექტურობის ბრალია?

დიახ, ხშირად სცოდავდნენ და სცოდავენ თბილისის „დინამოს“ მიმართ, იყო არაობიექტურობაც, მაგრამ განა ამ არაობიექტურობის შედეგია ჩვენი პირველი გუნდის წარუმატებლობა ამ ბოლო 4-5 წლის მანძილზე?

მართალია, უკეთესი იქნებოდა საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გუნდები პირდაპირ გადიოდნენ ევროპის საკლუბო ტურნირებში, მაგრამ ამისათვის საჭიროა ფეხბურთის საერთაშორისო და ევროპული ფედერაციების წევრი გახდე, ამიტომ პირველ რიგში საჭიროა სწორედ ამას მივაღწიოთ, შემდეგ კი ვიფიქროთ საქართველოს პირველობაზე.

მანამდე კი ჩემი მოსაზრება ასეთია: საკავშირო უმაღლეს ლიგაში უნდა გვყავდეს თუნდაც ერთი გუნდი, ხოლო პირველ და მეორე ლიგებში მოთამაშე საქართველოს გუნდები გავაერთიანოთ საქართველოს პირველობაზე. რა თქმა უნდა, სხვა გუნდების დამატებით, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატი უნდა პრესტიჟული გავხადოთ, რომ დავაინტერესოთ გუნდებიც და თითოეული ფეხბურთელიც, საქართველოს ჩემპიონი კი შეხვდება უმაღლესი ლიგის გუნდს. უნდა გაიმართოს თამაშების სერია, თუნდაც 4 და 6 თამაში, მორიგეობით — სტუმრად და საკუთარ მინდორზე, გამარჯვებული ითამაშებს სსრ კავშირის ჩემპიონატში. მართალია, ამ შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში გვეყოლება მხოლოდ ერთი გუნდი (I და II ლიგებში თამაში არც თუ ისე პრესტიჟულია), მაგრამ ეს გუნდი ყოველ სეზონში იბრძოლებს საპრიზო ადგილისთვის, ხოლო შემდეგში, თუ გავხდით საერთაშორისო ფედერაციების წევრი, შეიძლება უკვე ჩამოვშორდეთ სსრ კავშირის ჩემპიონატს და პირდაპირ გავიდეთ საერთაშორისო არენაზე.

ხვიჩა დანელია,
ხპი-ის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი.

თუ საქმეს გონივრულად მივუდგებით

ყველასათვის გასაგებია — იწყება ახალი ერა ჩვენს ცხოვრებაში, სრულიად განსხვავებული ბოლო ათწლეულებისგან. დღეს მთელი ერი გამოხატავს თავის ნებას — შეიქმნას სუვერენული, ყოველმხრივ თავისუფალი საქართველო. ამ მიზნისაკენ სწრაფვა ჩვენს სპორტსაც დაეტყო თანდათან: დაიწყო მსჯელობა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის თაობაზე, ქართველი მოჭიდავეები პირდაპირ კავშირს ამყარებენ ისეთ ქვეყანასთან, როგორიცაა იაპონია. სუვერენიტეტი უნდა შეეხოს ქართულ სპორტსაც, უპირველეს ყოვლისა, მის ფლაგმანს — ქართულ ფეხბურთს.

სულ უფრო გასაგები ხდება, რომ ე. წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სინამდვილეში ჩრდილოეთის რამდენიმე გუნდის ჩემპიონატია. ისინი დომინანტობენ, რაც გამოწვეულია არა მარტო თამაშის ხარისხით, არამედ უფრო იმ მზრუნველობით, რომელსაც საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელობა, მსაჯები და ფეხბურთთან დაკავშირებული პირნი იჩენენ მათ მიმართ.

თანდათანობით იკარგება ქართული ფეხბურთის ფენომენი, იგი შთაინთქა იმ უზარმაზარ აპარატში, რომელშიც ჩვენი ფეხბურთია მოქცეული. რამდენი მაგალითი გვქონია, როცა ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს გზას ულობავდნენ კავშირის ნაკრებისკენ იმ მოსაზრებით, თითქოს, ჩვენი სტილი არ შეესაბამება ნაკრების სტილს. ყოველივე ამის გამო ბევრი ქართველი სპორტსმენი მსოფლიოსთვის უცნობი დარჩა. დარწმუნებული ვარ, ისინი თამამად დაიკავებდნენ თავიანთ ადგილს მსოფლიო ფეხბურთის „ვარსკვლავების“ გვერდით. მახსენდება ერთ საკავშირო გაზეთში წავიკითხე ამონაწერი ინგლისური ჟურნალიდან. იგი ეხებოდა „დინამოს“ ტრიუმფალურ გზას თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გათამაშებას. ჟურნალი თავის აზრს აცნობდა მკითხველს. ერთი ფრაზა დღემდე უსიამოვნოდ ჩამრჩა მეხსიერებაში, დაახლოებით ასე ეწერა: რუსმა ფეხბურთელებმა გვიჩვენეს ლამაზი, გააზრებული თამაში, მათ შორის კი ბრწყინავდა დავით ყიფიანი. აი, სადამდეა საქმე მისული. მსოფლიოში ძალზე ცოტამ თუ იცის, რომ დ. ყიფიანი ქართველია, ხოლო „დინამო“ — საქართველოს წარმომადგენელი. ისიც არ იცის სადაა, ან საერთოდ არსებობს თუ არა საქართველო. ეს ყველაფერი იმ პოლიტიკური გარემოს ბრალია, რომელშიც მოუწია ცხოვრება ჩვენს ერს. ქართველი კაცის სამშობლო მხოლოდ საქართველოა, თითოეული მისი შვილი, მუშა იქნება თუ გლეხი, მეცნიერი თუ სპორტსმენი, მხოლოდ საქართველოსთვის უნდა ღვრიდეს ოფლს.

ერთი სიტყვით, ეროვნული ლიგის შექმნა არა მარტო აუცილებელი, არამედ დღევანდელი დღის მოთხოვნილებაცაა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მთელი სიცხოველით გაიბრწყინებს ქართული ფეხბურთი. მან არა თუ მოიგო რამე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობით, არამედ თანდათან კარგავს ტრადიციულ სახეს. სწორედ ამ ტრადიციის შენარჩუნებისთვის უნდა ვიბრძოდეთ და არა კოლექტივიზაციის პერიოდში დარქმეული სახელებისთვის, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს ქართველი კაცის ბუნებასთან. აუცილებელია შეიცვალოს გუნდების სახელები „დინამო“, „ტორპედო“ და ა. შ.

მე მესმის, ეროვნული ლიგის შექმნა რთული საკითხია, მაგრამ თუ საქმეს გონივრულად მივუდგებით, მალე ვეღირსებით ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე დღესასწაულს. სწორედ ამიტომაც **წინადადება შემომაქვს შეიქმნას ჯგუფი ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელებისა და სპეციალისტების შემადგენლობით, რომელიც ობიექტურად შეაფასებს ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას.** ეს ჯგუფი უნდა შეიქმნას ახლო მომავალში, ვინაიდან გადასაჭრელია ბევრი პრობლემა.

დაბოლოს, სკეპტიკოსებო — ნუ გგონიათ, რომ ქართული ფეხბურთი ვერ იარსებებს დამოუკიდებლად, მართალია, პირველ ხანებში გაგვიჭირდება, მაგრამ გაიხსენეთ ჩვენი ჭაბუკები, რომელთა ტალანტი აკვირვებს ყველას. დარწმუნებული ვარ, ეს უშრეტი რეზერვი მხოლოდ სასიკეთოდ იმოქმედებს.

რაც შეეხება ამ სიახლის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მიზეზად იმას ასახელებენ, ტრადიციებს ნუ ვღალატობთო, ვუპასუხებ: ცხოვრების უკუღმართობამ ბევრი ისეთი რამ მოგვიტანა, რაც გვინდა არ გვინდა დავიახლოვეთ და ჩვენად გამოვაცხადეთ. ახლა ის დრო დადგა, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ისტორიამ რთული დრო გვარგუნა, ჩვენმა თაობამ საქართველო უნდა წაიყვანოს ისეთი მომავლისკენ, რომ შთამომავლობამ მერე დაცინვით არ მოგვიხსენიოს — თქვენ რა ღირსნი იყავით ქართველობისა. ამიტომაც აუცილებელია ჩვენი სპორტსმენები იყვნენ ქართველი კაცის ნების გამომხატველნი, ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ქართული ფეხბურთი მოიპოვებს სრულ სუვერენიტეტს და შექმნის თავის ეროვნულ ლიგას.

ს. ბედიანი,
სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი.

ლიდერთა ცვლა

პარიზი. პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ XV ეტაპზე ლიდერთა ცვლა მოხდა. 39 კილომეტრიანი სამთო ტრასა ყველაზე სწრაფად ჰოლანდიელმა სტივენ როოქსმა დაფარა —1:10.42 (საშუალო სისწრაფე 39 კილომეტრი საათში), ფრანგმა ლორან ფინიონმა, რომელიც ამ ეტაპამდე ერთპიროვნულ ლიდერად ითვლებოდა მხოლოდ მეათე შედეგი აჩვენა (გამარჯვებულთაგან 1 წუთი და 44 წამი წააგო).

საერთო ჩათვლაში დაწინაურდა 1986 წლის „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ამერიკელი გრეგ ლემონდი, რომელიც მეთხუთმეტე ეტაპზე მეხუთე ადილზე გავიდა და ახლა 40 წამით უსწრებს ფინიონს. მესამე ადგილს კვლავ ფრანგი შარლ მოტე ინარჩუნებს (ლემონდს იგი 2 წუთითა და 17 წამით ჩამორჩება).

ლიდერი შეიცვალა ქალთა „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე ეტაპის შემდეგაც. იგი ამერიკელმა კეტრინ ტობინმა მოიგო (97 კილომეტრი 2:42,57-ში გაიარა), მაგრამ ყვითელი მაისური მან კი არა, კანადელმა კილენ-ენ ვეიმ ჩაიბარა. ძველი ლიდერი — „ტურ დე ფრანსის“ ორგზის ჩემპიონი ჟანი ლონგო მეორე პოზიციაზე გადავიდა.

◆

„მეგობრობის“ ტურნირზე

ბერა (გდრ). აქ მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა“ სოციალისტური ქვეყნების გუნდებს შორის. „ბ“ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრები წინაა 6 ქულით, ჩვენმა გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, ამჯერად ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 4:1.

„ა“ ჯგუფში ლიდერობენ პოლონელები, რომლებსაც 3 ტურის შემდეგ 5 ქულა აქვთ.

◆

ცოტაც არასპორტულ თემაზე

ახლა მთელს მსოფლიოში კომპიუტერების ბუმია, აშშ-ის ქალაქ მედისონში შრომით მოწყობის ბიუროში ზარზეიმით დადგეს ახალი ტიპის კომპიუტერი, რომელიც მონაცემების შეჯამებით უმალვე იძლევა დასკვნას შეეფერება თუ არა პრეტენდენტი შეთავაზებულ სამუშაოს. კომპიუტერის დანერგვის ცერემონიალს შტატის გუბერნატორიც დაესწრო, რომელმაც სცადა პირველს ესარგებლა ჭკვიანი მანქანით. მონაცემებზე მცირეოდენი „დაფიქრების“ შემდეგ კომპიუტერმა გუბერნატორს მიაწოდა თავზარდამცემი დასკვნა: „უვარგისია ხელმძღვანელის საქმიანობისთვის...“

ამერიკელი სპეციალისტების პროგნოზით XXI საუკუნეში ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. მაგალითად, 2030 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 85 წელს, 2050 წლისთვის 100 წელს მიაღწევს. ვარაუდობენ რომ XXI საუკუნეში გამოინახება აგრეთვე თმის გაცვენის საწინააღმდეგო საშუალება.

ჰოლანდიაში მოდად იქცა ველოსიპედის გატაცება. მაგრამ ბოლო ხანებში გამოინახა ალმკვეთი საშუალება — ფასიანი სადგომები. ავტომატში მონეტის ჩაშვებისთანავე საგანგებო რკალში იჭედება ველოსიპედის წინა თვალი. პატრონი კი მანქანას „ტყვეობიდან“ გამოიხსნის კოდის მეშვეობით.



ზაფხულში თითქოს როლები იცვლება — აქამდე ატალღებული ზღვა უტევდა უკაცრიელ ნაპირებს, ახლა ხმელეთი „თავისი ლაშქრით“ — დახიცხული დამსვენებლებით შესევია წყლის სტიქიას. ვისაც რა ეხერხება და რაზე მიუწვდება ხელი — ცურვა იქნება თუ აფრიანი და ნიჩბიანი ნავი, წყალთხილამურები თუ საწყლოსნო სლალომი — ისე გაურბის აუტანელ პაპანაქებას და წყლის მაცოცხლებელ სიგრილეს აფარებს დროებით თავს.

მიხეილ ზაქარეიშვილის და საკდესის ფოტოები.

კალეიდოსკოპი

აზიის თამაშების დასახმარებლად

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გულმოდგინედ ემზადებიან აზიის სპორტული თამაშებისთვის, რომელიც იქ 1990 წელს უნდა ჩატარდეს. ამ სამზადისის ერთ-ერთი როლი გახლავთ დახმარება, რომელიც ჩინეთის სპორტულმა ორგანიზაციებმა თამაშების ორგანიზატორებს აღუთქვეს. სულ მალე საორგანიზაციო კომიტეტი თავისი საჭიროებისთვის 3 მილიონ იუანს (800 ათას დოლარამდე) მიიღებს. ეს თანხა ჩინეთის ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების სამინისტრომ გამოჰყო თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების სამი ბლოკის რეალიზაციის შემდეგ.

უეინ გრეცკი ექვსეულის მიღმა

როგორც ვიუწყებოდით, კანადასა და ამერიკაში ყველაზე პოპულარულმა ჰოკეის ჟურნალმა ნხლ-ს ლიგის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა კლუბ „დეტროიტ რედ უინგზის“ 23 წლის მოთამაშე სტივ აიზერმენი. ჰოკეის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ამ სპორტსმენის გამოსვლა შვეციის 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ ბევრისთვის ჟურნალის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი თვლიდნენ, რომ ლაურეატი ან „პიტსბურგ პინგვინზის“ მოთამაშე მარიო ლემიე უნდა გამხდარიყო, ან ლეგენდარული უეინ გრეცკი („ლოს-ანჯელეს კინგზი“). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრეცკიმ სეზონი არც ისე ეფექტურად დაამთავრა: იგი ნხლ-ს ლიგის უძლიერეს ექვსეულშიც ვერ მოხვდა. „ოლ სტარზის“ (ყველავარსკვლავის) შემადგენლობაში არიან: მეკარე — პატრიკ როი („მონრეალი“), მცველები — პოლ კოკი („პიტსბურგი“) და კრის ჩელიოსი („მონრეალი“), თავდამსხმელები — ჯო მალინი („კალგარი“), მარიო ლემიე და რობ ბრაუნი („პიტსბურგი“).

ალპინიადა... დარბაზში

ინგლისის დედაქალაქში პირველად ჩატარდა საერთაშორისო ალპინიადა... შენობაში. 17 ქვეყნის 50-ზე მეტი სპორტსმენი რამდენიმე დღის მანძილზე ეჯიბრებოდა ერთმანეთს ხელოვნური მასალისაგან დამზადებულ კლდეზე ცოცვაში. კლდის სიმაღლე 12 მეტრი გახლდათ და საკმაოდ ბევრ „წინაღობას“ მოიცავდა.

შეჯიბრებას ბევრი მოყვარული დაესწრო, მათ შორის ჰიმალაის მწვერვალების ცნობილი დამპყრობი კრის ბონინგტონი, რომელმაც ამ საინტერესო სანახაობას მაღალი შეფასება მისცა.

ხალიჩაზე იწვევენ ქალებს

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) გადაწყვეტილებით წლეულს შვეიცარიაში პირველად ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

ამ ღონისძიების გენერალური რეპეტიცია ჯერ კიდევ იანვარს, შვეციის ქალაქ ერნშელდსვიკეში შედგა. მასში მონაწილეობა მიიღეს 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა. საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ შვეიცარიის ტურნირის შემადგენლობა გაცილებით უფრო ფართო იქნება.

სახსრები სპორტისთვის

ირანის მთავრობამ ქვეყნის პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი სპორტის საქმეთა და ახალგაზრდობის სამინისტროს შექმნის თაობაზე. ფრანს პრესის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტის ცნობით ამის შესახებ იტყობინება ირანული ჟურნალი „აბრარი“.

ფიზაღზრდის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ნასროლა საჯადი გამოთქვამს რწმენას, რომ პარლამენტის წევრები მხარს დაუჭერენ ამ კანონპროექტს. მით უფრო, რომ მთავრობის ხუთწლიანი გეგმა სპორტის საჭიროებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი კრედიტის გამოყოფას ვარაუდობს. ბოლო აღწერის თანახმად ირანის მოსახლეობის ნახევარს 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ.

მოზესი — უჩვეულო ამპლუაში

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ედვინ მოზესი უჩვეულო ამპლუაში გამოსვლას აპირებს. იგი გამოვა 1992 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, როგორც... ბობსლეისტი. რაც შეეხება მძლეოსნობას, მოზესი, რომელიც ახლა 33 წლისაა, ამ სარბიელზე კიდევ ორი სეზონის მანძილზე აპირებს ასპარეზობას.

„სპორტპროგნოზი“

29-ე ტირაჟის შედეგები (14-17 ივლისი)

1—X, 2—X, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—X, 8—2, 9—1, 10—2, 11—X, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ძვირფასო მეგობრებო! ქ. თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექცია შაბათს, 22 ივლისს, 11 საათზე მაყურებელთა ტრიბუნებზე — აწყობს ღია კარის დღეს.

ცხენოსნობის, მეცხენეობისა და საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულებს საშუალება ექნებათ შეხვდნენ იპოდრომის ხელმძღვანელობას და ესაუბრონ ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, გააცნონ მათ თავიანთი აზრი, წამოაყენონ პერსპექტიული წინადადებები რესპუბლიკაში მეცხენეობის განვითარებისა და საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად.

იპოდრომის ხელმძღვანელობა წინასწარ გიხდით მადლობას მობრძანებისათვის.

იპოდრომის დირექცია.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი №2)

21 ივლისი ● ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 19, 20 და 21 ივლისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 19 ივლისს. 21 ივლისს 17 საათიდან ბილეთები გაიყიდება ა. წერეთლის გამზირის მხრიდან.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-65,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მატიანე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10440